

გუსტავო ადოლფო ბეკერი
Gustavo Adolfo Bécquer

ღეჭსები და ლეგენდები

Rimas y Leyendas



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2012

გუსტავო ადოლფო ბეკერი
ლექსები და ლეგენდები

Gustavo Adolfo Bécquer
Rimas y Leyendas

წიგნი ითარგმნა ესპანეთის კულტურის სამინისტროს წიგნის,
არქივებისა და ბიბლიოთეკათა სამმართველოს დაფინანსებით

**Esta obra ha sido publicada con una subvención de la Dirección
General del Libro, Archivos y Bibliotecas**



Traductor: Vladimer Luarsabishvili

მთარგმნელი: ვლადიმერ ლუარსაბიშვილი
რედაქტორი: ნატალია ვაჩიშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: თინათინ კვიციანი

© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-129-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

მთარგმნელისგან	1
ლექსები	11
ლეგენდები	71

მთარგმნელისგან

გუსტავო ადოლფო დომინგეს ბასტიდა დაიბადა სევილიაში 1836 წლის 17 თებერვალს. იგი იყო მხატვრის – ხოსე მ. დომინგესის შვილი, რომელიც ხელოვანთა წრეში ხოსე მ. ბეკერის სახელით იყო ცნობილი. ეს სახელი მისმა შვილებმაც აირჩიეს.

გუსტავოს ხუთი წლის ასაკში მამა, ხოლო ათი წლის ასაკში დედა გარდაეცვალა. გუსტავო სან ტელმოს სასწავლებელში სწავლობდა, სადაც ნარცისო კამპილოს დაუახლოვდა. სასწავლებლის დახურვის შემდეგ, იგი საცხოვრებლად ნათლიასთან გადავიდა, რომლის სახლშიც რომანტიკოსთა ნაწარმოებები წაიკითხა. ამავე პერიოდში იგი ბიძასთან – ხოაკინთან ხატვას ეუფლებოდა.

1854 წლის ოქტომბერში გუსტავო მადრიდში ჩავიდა. თავდაპირველად იგი მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა. ერთი წლის შემდეგ მასთან ძმა – ვალერიანო ჩავიდა, რამაც არა მხოლოდ მისი ფინანსური მდგომარეობა, არამედ მარტოობა და აპათიაც შეამსუბუქა. გუსტავო ცდილობდა დრამატურგობით ერჩინა თავი და ამ მიზნით ნომბელასთან და გარსია ლუნასთან თანამშრომლობდა. თუმცა, ეს წამოწყება წარმატებული არ ყოფილა.

ამავე პერიოდში გუსტავო მუშაობდა გაზეთში *ელ მუნდო*, რაც ასევე დიდხანს არ გაგრძელებულა. ამის შემდეგ იგი თანამშრომლობდა გაზეთთან *ელ პორვენირ* და გასამრჯელოდ თვეში ოც დუროს იღებდა¹. იგი ფრანგული გაზეთებიდან სტატიებს თარგმნიდა და კრიტიკულ წერილებსა და პიესებს წერდა. თუმცა გაზეთი ხელფასს არ უხდიდა და გუსტავომ და მისმა მეგობრებმა მუშაობა შეწყვიტეს.

გუსტავოს კიდევ ერთი პროექტი, რომლის მხოლოდ პირველი ნაწილი განხორციელდა, ესპანეთის ეკლესიათა ისტორიის ამსახველი წიგნის შედგენა იყო.

გუსტავომ ხულია ესპინი გაიცნო, რომელიც კომპოზიტორ ხოაკინ ესპინ ი გილენის შვილი იყო. უცნობია, რამდენად ახლო ურ-

1. 1 მონეტა = 5 პესეტა.

თიერთობა ჰქონდათ მათ. შნაიდერი² აღნიშნავს, რომ გუსტავომ ხულიას საკუთარი ლექსებითა და ნახატებით შედგენილი ორი ალბომი მიუძღვნა. ენტრამბასაგუასი³ აღნიშნავს, რომ ეს ალბომები ხულიას გაცნობამდე იყო შედგენილი, ხოლო მათ შორის არსებული ურთიერთობა კი მეგობრობის ჩარჩოებს არ გასცილებია.

გუსტავომ იავადმყოფა, შემდეგ კი გაზეთ “La época”-ში მუშაობდა. იგლესიას ფიგეროასეკუთვნის საინტერესო სტატია⁴, რომლის თანახმად, ბეკერის მუზა ვინმე ელისა გილენი ყოფილა. მონტესინოსი⁵ აღნიშნულ შეხედულებას უარყოფს. ხერარდო დიეგო⁶ მიუთითებს გუსტავოს დაქორწინებამდე ერთ ქალთან ურთიერთობაზე, რომელის პიროვნებაც დადგენილი არ არის.

1861 წელს გუსტავო და ხულია ერთმანეთს დაშორდნენ. ამავე წლის მარტის თვეში პოეტი ვერუელას მონასტერში დადიოდა, სადაც ფიზიკურ და მორალურ იარებს იშუშებდა. გუსტავოს ავადმყოფობის მიზეზი დღემდე არ არის ზუსტად დადგენილი. მაგალითად, მონტესინოსი⁷ დაავადების მიზეზად ათაშანგს ასახელებს (თუ დავეყრდნობით ლექსს LXXIX).

არშემდგარმა სიყვარულმა გუსტავოს, მისი მეგობრების აზრით, ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა დააშვებინა: პოეტმა 1861 წლის 19 მაისს კასტა ესტებანზე იქორწინა. ქორწინების შედეგებს შორის აღსანიშნავია ოჯახური უთანხმოება, ორმხრივი ღალატი და 1868 წელს მომხდარი საბოლოო დაშორება.

სიცოცხლის ბოლო ათი წლის განმავლობაში გუსტავო ძირითადად პრესაში მუშაობდა: El Contemporáneo (1860-68), La Gaceta Literaria, La América, El Museo Universal, La ilustración de Madrid (1869-70), El Entreacto.

2. ციტირებულია: Díaz, José Pedro. *Gustavo Adolfo Becquer. Vida y poesía*. Ed. Gredos, Biblioteca Románica Hispánica, II, 39, Madrid, 1971, 3.^a ed., corregida y aumentada.

3. ციტირებულია: *Estudios sobre Gustavo Adolfo Bécquer*, tirade aparte de la RFE como homenaje a G.A.B. en el centenario de su muerte, CSIC, Madrid, 1972.

4. *Un interesante descubrimiento. La mujer que inspiró a Bécquer las rimas*, en *La voz*, Madrid, enero, 1926.

5. Montesinos, Rafael: *Bécquer. Biografía e imagen*, Ed. RM, Barcelona, 1977.

6. Diego, Gerardo. “Casta y Gustavo. Cartas inéditas”, en *La nación*, Buenos Aires, 14 de junio de 1942.

7. Montesinos, Rafael: *Bécquer. Biografía e imagen*, Ed. RM, Barcelona, 1977.

გუსტავოს ძმა – ვალერიანო 1870 წლის 23 სექტემბერს გარდაიცვალა. მართალია, კასტა სახლში დაბრუნდა, მაგრამ ბეკერმა მხოლოდ სამი თვე იცოცხლა – იგი 1870 წლის 22 დეკემბერს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების უშუალო მიზეზთა შორის სახელდება ტუბერკულოზი, ღვიძლის კიბო და გაციება.

გუსტავოს მელანქოლიური ხასიათი ჰქონდა. ნომბელა⁸ მას ასე ახასიათებს: სერიოზული, მიამიტი, მეოცნებე, რომანტიკოსი. ჩამოთვლილს შეიძლება დავუმატოთ „გაცხოველებული ინტერესი მუსიკისადმი“⁹.

იმის მიუხედავად, რომ გუსტავო თავს პოეტად მიიჩნევდა, შემოსავლის ერთადერთ წყაროდ პროზის წერა მიაჩნდა (თანაც, არა ყოველთვის შემოქმედებითი პროზის). თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იგი თანამედროვე მადრიდის გავლენიან პირთა მფარველობას იყო მოკლებული (მაგ. ედუარდ გასეტი ი არტიმეს, ან გონსალეს ბრავოსი). ეს უკანასკნელნი გუსტავოს მხოლოდ გაზეთში მუშაობას თუ სთავაზობდნენ.

პოლიტიკური თვალსაზრისით, გუსტავო ტრადიციონალისტური ორიენტაციის იყო (ბენიტესი). ეს, ერთი მხრივ, მისი მსოფლმხედველობით აიხსნება (მითისა და შუასაუკუნოვანი პერიოდის იდეალიზაცია, თავისი საკათედრო ტაძრებით, მეფეებითა და დიდებულებით), მეორე მხრივ, კი იმ გარემოებით, რომ კონსერვატორთა რიგებში ბევრი მეგობარი ჰყავდა.

ბენიტესი აღნიშნავს, რომ გუსტავოს კონსერვატორულობა კეთილშობილური და ლიბერალური იყო. ნოველათა ცენზორად მისმა დანიშვნამ ნეოკათოლიკეთა გალიზიანება გამოიწვია. ვარელას თანახმად, „მისი პოლიტიკური კონსერვატორულობა სხვა არაფერია, თუ არა მისი პიროვნების ლოგიკური გაგრძელება, რაც შემოქმედებითობის გამონატყულებაა.“ მისი ესთეტიკური ტრადიციონალიზმი განპირობებულია პოლიტიკური კავშირით გონსალეს ბრავოსთან.

გუსტავო ადოლფო ბეკერის ქმნილებები იმ გაზეთებში იბეჭდებოდა, რომლებშიც ის მუშაობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მეგობრებმა გამოსცეს გუსტავოს *შრომების* ორი ტომი (1871 წელს), რომლებშიც ავტორის ტექსტები არ იყო სრულად წარმოდგენილი.

8. Nombela, Julio. *Impresiones y recuerdos*. La última moda, Madrid, 1909-1912 (4 vols.).

9. Díaz, José Pedro. *Gustavo Adolfo Bécquer. Vida y poesía*. Ed. Gredos, Biblioteca Románica Hispánica, II, 39, Madrid, 1971, 3.a ed., corregida y aumentada.

რაც შეეხება მომდევნო გამოცემებს (1877, 1881, 1885, 1898), ისინი შედარებით შევსებული იყო.

1920 წელს გამომცემლობამ Aguilar გუსტავოს *სრული კრებული* გამოსცა (რომლებიც ასევე არ იყო სრული). *სრული კრებულის* სახელწოდებით ასევე გამოსცეს კრებულები: M. Sanmiguel Raimúndez (Aguado, Madrid, 1946), Plaza y Janéz (Barcelona, 1961), Cardona y Alcina და სხვ.

1923 წელს იგლესია ლაგუნმა გამოაქვეყნა „უცნობი გვერდების“ (*“Páginas desconosidas”*) სამი ტომი, რომელთა ნაწილიც აპოკრიფული ხასიათის იყო (ტექსტები გუსტავოს წერის სტილით იყო დაწერილი). გამალიო ფიეროსმა 1948 წელს გამოაქვეყნა პოეტის ერთტომეული (სახელწოდებით *“Del olvido en el ángulo oscuro”*).

„ლექსების“ კრებულების გამოცემები და ანოტაციები სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნით.¹⁰

„ლეგენდების“ გამოცემებიდან კი აღსანიშნავია Ruben Benítez-ის შრომა.

რაც შეეხება გუსტავოს სხვა ტექსტებს, ისინი მწირად არის გამოცემული. მათ შორის აღსანიშნავია გამოცემა: *Cartas desde mi celda*, Montero Padilla, Salamanca, 1970.

„ლექსები“ (*“Las Rimas”*). „ლექსთა“ უმრავლესობის დაწერის თარიღად ხოსე პედრო დიასი მიიჩნევს 1857-59წწ. და 1868წ. 1868 წელს გუსტავომ გადასცა გონსალეს ბრავოს ლექსთა ხელნაწერები, რომლებიც ამ უკანასკნელის სახლში დაიკარგა სექტემბრის რევოლუციის დროს.

კასტასთან განშორებისა და ცენზორის თანამდებობის დაკარგვის შემდეგ, გუსტავო ტოლედოში გაემგზავრა, სადაც შეეცადა მესხიერებით აღედგინა დაკარგული წიგნი. შემონახულია აღნიშნული ტომის ფაქსიმილური გამოცემა. იგი 1896 წელს შეიძინა ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, მაგრამ მხოლოდ 1914 წელს აღმოაჩინა შნაიდერმა. მისი კომენტარები პილარ პალორმოს შედგენილია.

გუსტავოს გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ წიგნებში მეგობრებმა შემთხვევით არ მოათავსეს სამი ლექსი: LXXVII, LXXVIII, LXXIX.

საკუთარი პოეტური სისტემის საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე, გუსტავოს პოეტურმა ევოლუციამ კლასიციზტური ეტაპი გაიარა, რომელიც სევილიელი პოეტების ზეგავლენას განიცდიდა (Herrera,

10. José Pedro Díaz, Pageard, José Carlos de Torres, Díez Taboada, José Luis Cano, Palomo, Balbín, Roldán და სხვ.

Rioja და სხვ.). გუსტავოს პოეტურ ევოლუციაზე ზეგავლენა იქონიეს 1857 წელს დაბეჭდილმა ჰ. ჰაინეს “Intermezzo”-ს თარგმანმა, ფერანის გაცნობამ და ხალხურ პოეზიასთან დაახლოებამ. მართლაც, ბეკერის შემოქმედებაზე უცხოური ზეგავლენების შესახებ მსჯელობისას ძალიან მნიშვნელოვანია ჰ. ჰაინეს ფიგურა, ისევე როგორც ბაირონის. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სტატია ეკუთვნის დამასო ალონსოს.

რაც შეეხება ესპანურ ზეგავლენას, მათ შორის უპირველესია ფერანისა და ანხელ მარია დაკარეტეს ფიგურები. მეხუთე ლექსი ავლენს ხოსე ლარეას ზეგავლენას (დ. ალონსოს თანახმად), ბოუსონიო მიუთითებს ეულოხიო ფლორენტინო სანტისა და ალბერტო ბლესტ განას ზეგავლენაზე. ბეკერის ტექსტებში, ასევე, ნათელია კამპოამორის გავლენაც.

საინტერესოა ხალხური პოეზიის როლი გუსტავოს ჩამოყალიბებაში. ამაზე მიუთითებდნენ პენა¹¹ და კოსიო.¹²

ბეკერის დამსახურებაა ესპანურ პოეზიაში „აქამდე უცნობი სიშიშვლის შემოტანა“. ბალბინი¹³ მიუთითებს პოეტურ აქტსა და პოეტურ ნიშანს შორის, მათ შორის იერარქიის არსებობაზე: „პოეტური აქტის მოქმედება და ამპლიტუდა არის გაზრდილი პოეტური ნიშნის გამარტივებისა და გაშიშვლების გზით“. სობეხანო¹⁴ ასევე მიუთითებს „სიშიშვლებზე, ან, უფრო ზუსტად, სიღარიბეზე, რომელიც სასურველია“. ტამაიო¹⁵ მიუთითებს ლექსში ეპითეტების სიმცირეზე. აღსანიშნავია, რომ პოეტური გამარტივების ტექნიკა შემთხვევითობის შედეგი არ ყოფილა. ტამაიო აღნიშნავს, რომ „ლექსთა სტრუქტურა [...] დეტალურად იყო დამუშავებული ავტორის მიერ და არ წარმოადგენს შემთხვევითი შთაგონების შედეგს“.

11. Penna, Mario. “Las Rimas de Bécquer y la poesía popular”, págs. 187-215. ციტირებულია: *Estudios sobre Gustavo Adolfo Bécquer*, tirade aparte de la RFE como homenaje a G.A.B. en el centenario de su muerte, CSIC, Madrid, 1972.

12. Cossío, José M.a de. *Poesía española. Notas de asedio*. Ed. Espasa-Calpe, Madrid, 1936.

13. Balbín, Rafael de. *Poética becquerina*. Ed. Prensa española, Madrid, 1969.

14. Sobejano, Gonzalo. *El epíteto en la lírica española*. Ed. Gredos, Biblioteca Románica Hispánica, II, 28, Madrid, 1970, 2.a ed.

15. Tamayo, Juan Antonio. “Contribución al estudio de la estilística de Gustavo Adolfo Bécquer”, págs. 15-51. ციტირებულია: *Estudios sobre Gustavo Adolfo Bécquer*, tirade aparte de la RFE como homenaje a G.A.B. en el centenario de su muerte, CSIC, Madrid, 1972.

ბოუსონიომ გააანალიზა გუსტავოს პოეზიაში არსებული პარალელიზმები და დაასკვნა, რომ პირველი გამოცემის 76 ლექსიდან 25-ში პარალელური კონსტრუქციები აღინიშნებოდა, ხოლო 5-ში კი – კორელაციები, რაც მგრძობიარე, მაგრამ არა სპონტანური აგებულების პოეტზე მიუთითებს. ილდეფონსო მანუელ ხილმა შეისწავლა დუალიზმის ფუნქცია და ორწევრი სტრუქტურები გუსტავოს პოეზიაში (მის თანახმად, „LIII ლექსის ყოველი სტროფი შემოქმედებითი ინტუიციის გამეორებით ვარიანტს გვთავაზობს“).

„ლექსების“ თემატური კლასიფიკაცია. თითქმის ყველა მკვლევარი „ლექსებს“ ერთ მთლიან კრებულად მიიჩნევს. იგივე აზრი ჰქონდათ გუსტავოს მეგობრებს, რაც დანტეს, პეტრარკასა თუ ლოპეს მოდელებს მოგვაგონებს. მაგალითად, პირველი გამოცემის შესავალში როდრიგეს კორეა მიიჩნევს, რომ „გუსტავოს ყველა ლექსი არის ჰ. ჰაინეს “Intermezzo”-ს მსგავსად, ყველაზე ფართო და სრული პოემა, რომელშიც ავტორის ცხოვრებაა მოქცეული“.

ყველაზე გავრცელებული თემატური კლასიფიკაცია არის Díaz-ის წიგნი (გვ. 151), რომელიც Gerardo Diego-ს შემოთავაზებას ეყრდნობა, რომლის თანახმად, „ლექსები“ 4 თემატურ სერიად იყოფა: პოეზია (I-XI), სიყვარული (XII-XXIX), იმედგაცრუება (XXX-LI), ტკივილი და სევდა (LII-LXXXVI).

ბალბინი და როლდანი ლექსებს ათ ჯგუფად ყოფენ: შესავალი, პოეტიკა, ბედნიერი სიყვარული, ტკივილი, დანალვლიანება, მარტობა, მელანქოლია, შორეული სიყვარული, იდეალური სიყვარული და მეთათე – უსათაურო ჯგუფი.

თარგმნის პროცესში ჩვენ დავეყრდენით თარგმანცოდნეობის რამდენიმე თეორიას, კერძოდ, მეოცე საუკუნის თეორიებს, რომელთა ავტორებიც არიან: ანტუან ბერმანი,¹⁶ ანდრე ლეფევერი,¹⁷ იტამარ ევენ-ზოჰარი¹⁸ და ლოურენს ვენტტი.¹⁹

16. მისი ტექსტია: *Lépreuve de l'étranger: Culture et traduction dans l'Allemagne romantique*. Paris: Gallimard, 1984.

17. მისი ტექსტია: *Translation, rewriting and the Manipulation of Literary Fame* (1992).

18. მისი ტექსტია: *The position of translated literature within the literary polysystem*, in L. Venuti (ed.) (2004), pp.199-204.

19. ავტორი ტექსტებისა: *The Translator's Invisibility: A History of Translation*, London and New York: Routledge, 1995 და *The Scandals of Translation: Towards an Ethics of Difference*, London and New York: Routledge, 1998.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლიტერატურულ პოლისისტემაში გუსტავო ადოლფო ბეკერის ლექსების თარგმანები ვერ იქნება პირველადი პოზიციის მქონე, რადგან:

- ა) ქართული ლიტერატურა არ მიეკუთვნება ე.წ. „ახალგაზრდა“ ლიტერატურათა რიცხვს;
- ბ) ქართული ლიტერატურა არ არის „პერიფერიული“ ან „სუსტი“, რათა მოახდინოს მზა, სხვა ლიტერატურებში არსებული სალიტერატურო ფორმების იმპორტირება;
- გ) ქართული ლიტერატურა არ იმყოფება მისი განვითარების ისტორიის კრიტიკულ პერიოდში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოლისისტემური თეორიის თანახმად, გ.ა.ბეკერის ლექსების თარგმანები ქართული ლიტერატურის პოლისისტემაში დაიკავენ მეორად ადგილს და აღმოჩნდება პერიფერიულ პოზიციაზე. ამ შემთხვევაში, ჩვენ წინაშეა ისეთი მდგომარეობა, რომელსაც იტამარ ევენ-ბოჰარი „ნორმად“ მიიჩნევს.

აქვე დავძენთ, რომ წინამდებარე თარგმანების შესრულების დროს, ჩვენ მიერ არჩეულ იქნა თარგმნის ე.წ. „გაუცხოების“ სტრატეგია, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, უცხო ტექსტის (ჩვენ შემთხვევაში, ესპანურის) ლინგვისტურ-კულტურული მახასიათებლების გამოკვეთის სურვილით, და, მეორე მხრივ, მონდომებით მიგვეჩინა გ.ა.ბეკერის თარგმნილი პოეზიისთვის პერიფერიული ადგილი ქართულ ლიტერატურულ პოლისისტემაში. ამით ჩვენი თარგმანები შეინარჩუნებდნენ ესპანური კულტურის, კერძოდ კი პოეზიისთვის მახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ჩვენ მიერ შერჩეულ თარგმნის სტრატეგიას, ლ. ვენუტის თეორიასთან ერთად, ვხსნით ა. ბერმანის „ნეგატიური ანალიტიკოსის“ თეორიის გათვალისწინებითაც. კერძოდ, ამით თავიდან იქნა აცილებული „ნატურალიზაციის“ ფენომენი, რაც მკითხველისთვის „უცხოს უცხოდ მიღებას“ განაპირობებს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო თავიდან აგვეცილებინა ის ცნობილი შეცდომები, რომლებსაც ეფუძნება თარგმანმცოდნეობის თეორიები და რომელთა თეორიულ დამუშავებასაც წარმოადგენს თარგმანმცოდნეობა, როგორც დისციპლინა. ქართულ ენაზე უძველესი დროიდან სრულდებოდა თარგმანები, ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის არაერთი ცნობილი მთარგმნელი და მათ მიერ შესრულებული თარგმანის ბრწყინვალე ნიმუშები არის ცნობილი.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ძველი პერიოდის ქართველი მთარგმნელები ითვალისწინებდნენ მათი დროის თარგმანმცოდნეობის წესებს, მეოცე საუკუნეში განხორციელებული თარგმანების ანალიზი მიუთითებს ქართველი მთარგმნელების მიერ თარგმანის თეორიის წესების გაუთვალისწინებლობაზე. კერძოდ, თარგმანების უმრავლესობა შესრულებულია არა მხოლოდ ა. ბერმანის „დეფორმაციული ტენდენციების“ გათვალისწინების გარეშე, არამედ სხვა, ასევე მნიშვნელოვანი თეორიების ავტორების შრომების იგნორირებით. მათ შორის აღსანიშნავია ა. ლეფევერის, ს. ბასნეტისა და ლ. ვენუტის თეორიები. მოკლედ განვმარტოთ, რას ვგულისხმობთ.

როდესაც ა. ლეფევერი საუბრობს „ძლიერ კონკრეტული ფაქტორების“ კვლევაზე, რომლებიც თარგმნილი სალიტერატურო ტექსტების მიღებას უზრუნველყოფენ, იგი გულისხმობს ისეთი ინსტიტუტების არსებობას, როგორებიცაა *ძალაუფლება, იდეოლოგია და მანიპულაცია*. ის, თუ რომელი ტექსტი იქნება შერჩეული სათარგმნად, განისაზღვრება ან იდეოლოგიური, ან პოეტოლოგიური მოსაზრებებით. აღსანიშნავია, რომ სწორედ იდეოლოგიური მოსაზრებებით ითარგმნებოდა საბჭოთა კავშირში ფედერიკო გარსია ლორკას და თომას მანის ტექსტები. ლორკა განასახიერებდა ფრანკოს, ხოლო მანი კი ჰიტლერის რეჟიმის მსხვერპლს. მაშინ, როცა მთელი რიგი ესპანელი და გერმანელი ავტორების ტექსტები საბჭოთა კავშირის პერიოდში არ თარგმნილა, ხსენებულ ავტორთა ტექსტები კარგად იყო ცნობილი საბჭოთა კავშირში. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია დომინანტური პოეტიკის ფაქტორიც – ლორკას ავანგარდული ლექსები ვერ ითარგმნებოდა შესაბამისი რუსული ფორმების გამოყენებით, რადგან სალიტერატურო სისტემის მესვეურები არ მიიღებდნენ მსგავს თარგმანს გამოსაქვეყნებლად. ამ ტენდენციამ საბჭოთა კავშირში დანერგა ე.წ. „მისაღები“ თარგმანი, როდესაც ხდებოდა ორიგინალი ტექსტის კულტურული მახასიათებლების მიმღები კულტურის მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანა. ა. ლეფევერი მიუთითებს, რომ მეტად დიდია კრიტიკოსებისა და მიმომხილველების როლი თარგმანის რეცეფციის პროცესში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ძალაუფლების მქონე პირთა შეხედულებები და ლიტერატურული გემოვნება, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ, ან პირიქით, შეაფერხონ თარგმნილი ლიტერატურის გავრცელება სამიზნე კულტურაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემსრულებლისგან იმედების გამართლებას მო-

ელიან. ამიტომ მეტად რთულია: ა) სათარგმნი ტექსტის შერჩევა; და ბ) მისი მისაღები სახით თარგმნა.

ამის შედეგად, რუსეთსა და საქართველოში ჩამოყალიბდა ე.წ. „გაშინაურებული“ თარგმნის სტილი. ლ. ვენუტი გვთავაზობს ტერმინს „ხილვადობა“, რომელიც მაშინ წარმოიქმნება, როცა მთარგმნელი ცდილობს „თავისუფლად“ თარგმნოს იმ მიზნით, რომ თავისუფლად კითხვადი თარგმანი შექმნას. ცხადია, მსგავსი მიდგომა იყო რუსეთსა და საქართველოში. მეოცე საუკუნეში კი გამოქვეყნდა რუსი მეცნიერის მიხეილ გასპაროვის სტატიები, რომლებიც ეძღვნებოდა თარგმნის წესებს, რომელიც დომინანტური იყო რუსული მთარგმნელობითი სკოლისთვის. მისი სტატია სახელწოდებით „Сонеты Шекспира — переводы Маршак“ მიუთითებს მარშაკის მიერ შესრულებულ ბრწყინვალე თარგმანებზე, რომლებიც რუსული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილს ქმნიან, მაგრამ მეტად შორს არიან შექსპირისეული ტექსტებისგან. მარშაკმა მიმართა „გაშინაურების“ ტექნიკას (ლ. ვენუტის ტერმინი), იმის ნაცვლად, რომ აერჩია მეორე – „გაუცხოების“, რომლის დროსაც შეძლებდა ორიგინალი კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შენარჩუნებას. მსგავსი რამ მოიმოქმედა თავად თეორიის ავტორმა – ლ. ვენუტიმ, როდესაც თარგმნა მე-19 საუკუნის ავტორი იდჟინიო უგო ტარკეტი. ვენუტიმ მაქსიმალურად შეინარჩუნა ავტორისეული სტილი, თარგმნა არქაული ლექსიკის გამოყენებით, რის შედეგად მიიღო ძნელად საკითხავი, მაგრამ კულტურული სპეციფიკის მომცველი პროდუქტი. ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ლ. ვენუტიმ ხაზი გაუსვა დედანის უცხო იდენტობას და, ამავე დროს, დაიცვა იგი სამიზნე კულტურის იდეოლოგიური ბატონობისგან.

მსგავსი არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ქართული მთარგმნელობითი სკოლის თაობაზეც. მაგალითად, თუ ჩვენ შევადარებთ დავით კობიძისა და ვახუშტი კოტეტიშვილის სპარსული პოეზიის თარგმანებს, შევნიშნავთ, რომ დ. კობიძე „გაუცხოების“, ხოლო ვ. კოტეტიშვილი კი „გაშინაურების“ სტრატეგიის მომხრეა. ამის შედეგად, დ. კობიძის თარგმანების კითხვის დროს ჩვენთვის გასაგებია ორიგინალი ტექსტის სემანტიკურ-ემოციური გზავნილი, მაშინ როცა ვ. კოტეტიშვილის თარგმანები ქართული ლიტერატურის ნიმუშებს წარმოადგენს. ეს კი ფიცჯერალდის მიერ შესრულებული ო. ხაიამის ტექსტების თარგმანების ისტორიას მოგვაკონებს.